

რიცხვთა სიმბოლიკის ანუ ნუმეროლოგიის ფენომენი
დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“

მიხედვით

(დანტე ალიგიერის ლიტერატურული მემკვიდრეობის
კვლევების ანალიზი ნუმეროლოგიური
თვალსაზრისით)

ანა კვარაცხელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების
ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული
ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობა (მიმართულება: რომანული
ფილოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცერცვაძე, ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც კვლევაში არ არის ციტირებული ან მოხსენიებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანნა კვარაცხელია

26.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვახდენთ უდიდესი იტალიელი პოეტის-დანტე ალიგიერის -ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევების ანალიზს ნუმეროლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით.

ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარი „ცნობისმოყვარეობის“ დაკმაყოფილებას და შესაბამისად იმის კვლევას, თუ რა მიდგომები გამოიყენეს ლიტერატურის კრიტიკოსებმა ზემოხსენებული ფენომენის პრობლემის გადასაჭრელად დანტე ალიგიერის როგორც „ღვთაებრივი კომედიის“, ისე პოეტის მთელი შემოქმედების მიმართ. აქედან გამომდინარე ჩვენს მიზანს წარმოადგენს ნათლად დავინახოთ, თუ არსებობს უკვე მკვეთრად გამოხატული და საბოლოოდ ჩამოყალიბებული თეორიული საფუძველი დიდი პოეტის შემოქმედებაში რიცხვთა სიმბოლიკის თვალსაზრისით და დავადგინოთ რა სახის განსხვავებული კვლევის მეთოდები და თვალსაზრისები არის დღემდე გამოყენებული ჩვენს საკვლევ ფენომენტთან მიმართებაში.

კვლევისას, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ XX და XXI საუკუნეების იმ მეცნიერთა ნაშრომებზე, რომლებმაც დანტეს როგორც მისტიური პოეტის ფენომენით დაინტერესებულ ადამიანებს დაანახეს არა მარტო სხვა მრავალ სიმბოლოთა საიდუმლოებების ამოხსნის გზები, არამედ რიცხვთა სიმბოლიკის მაგიური დატვირთვა, რომელთა სიმრავლითაც გამოირჩევა პოეტის შემოქმედება.

სხვადასხვა კვლევებმა გვაჩვენეს, რომ პოეტის მიერ გამოყენებული რიცხვთა სიმბოლიკა ძირითადად დაკავშირებულია ნაწილობრივ მის ლიტერატურულ საქმიანობასთან, ნაწილობრივ იმ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტთან, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება და მოღვაწეობა; აგრეთვე, ნაწილობრივ მის პოეტურ შთაგონებასა და წარმოსახებთან, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ფილოსოფიურ, რელიგიურ, ეზოთერულ და სხვა თემებისადმი დაინტერესებაზე, რაც

მისი შემოქმედების ნებისმიერ მკვლევარს დიდ თავსატეხს უჩენს აირჩიოს ერთი კონკრეტული კვლევის მეთოდი. შესაბამისად, ლიტერატურული კრიტიკა ამ თვალსაზრისით უსაზღვროა, რაც მოითხოვს მუდმივ დაკვირვებასა და ძიებას.

ნაშრომზე მუშაობისას დავინახეთ, რომ აქამდე არსებული კვლევების მეთოდოლოგია და მიდგომები განსხვავდებიან ერთი მეორისაგან და ჩვენს ნაშრომში გვექნება მცდელობა სწორედ თავი მოვუყაროთ ზემოხსენებულ განსხვავებებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ნაშრომი არის თვისობრივი ხასიათის, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს მოვახდინოთ დანტეს შემოქმედებაში ნუმეროლოგიის როგორც ფენომენის შესახებ სრულყოფილი კვლევა და საბოლოო დასკვნის გამოტანა, არამედ აქამდე არსებული კვლევების შეჯერება და საკვლევი ფენომენის პრობლემის დასმა.

ამ უკანასკნელის ხაზგასმის მიზნით, წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ სხვადასხვა კვლევების შედეგები, მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნუმეროლოგიის ფენომენტან, როგორც „ღვთაებრივ კომედიაში“, ისე დანტეს მთელ შემოქმედებაში.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვებია: ნუმეროლოგია/რიცხვთა სიმბოლიკა, „ღვთაებრივი კომედია“, „ახალი ცხოვრება“, დანტე, ბეატრიჩე

Abstract

In the following article we make the numerological analysis of the great Italian poet Dante Alighieri's literary inheritance based on the works of different researchers.

Our topic represents a kind of satisfaction of curiosity. Accordingly, this article is a survey of different methods used by critics while solving the above-mentioned problem in the "Divine Comedy" by Dante Alighieri and whole his work. Therefore our task is to see accurately if there is any finally established theoretical base of symbolics of numbers and what different kinds of researches were used towards our phenomenon for research.

In the study we emphasized the works of those scientists of XX and XXI centuries, who have shown the people who are interested in Dante as a mystical poet's phenomenon not only the solutions of mysteries of a set of symbols, but also their magic nature. Dante Alighieri's works are imbued with the numeral symbols.

Different investigations show us that the symbolics of numbers used by the poet is closely related to the literary field, also the political and socialistic environment in which he used to live and work. Moreover, it is partly connected with his poetic inspiration and imagination, as well as to his interest in philosophical, religious and isoteric issues. The last makes quite difficult to choose one particular research technique. Respectively, the literary criticism in this sense is boundless that demands constant observation and investigation.

In the course of research we observed that the existing research methodologies and approaches greatly differ from one another and in our work we try to gather these above-mentioned differences altogether.

On the assumption that our thesis is of a qualitative nature, our goal is not to make comprehensive review and final conclusions about the numerology in Dante's works but to sum up already existing researches and define the problem of research object's phenomenon.

In order to emphasize the last one in our article we discussed different methods, strategies and results of surveys which are connected to the phenomenon of numerology in the "Divine Comedy" by Dante Alighieri as well as in whole his creative activity.

Main thematic key words are: numerology/symbolics of numbers, " the Divine Comedy", "New life", Dante, Beatrice.